ნიკო ქელბაქიანი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რევოლუცია ირანის შიიტურ სამღვდელოებაში: აიათოლა შარიათმადარის ჩამოქვეითება

აბსტრაქტი

აიათოლა სეიედ მოჰამად ქაზემ შარიათმადარი (1906-1986 წწ.) 1979 წლის ირანის რევოლუციის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. ამასთანავე, იგი იყო ერთ-ერთი გამორჩეული მაღალი რანგის სასულიერო პირი, რომელსაც რევოლუციის წინამძღოლისგან, აიათოლა რუჰოლაჰ ხომეინისგან, განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ჰქონდა. შარიათმადარი ტრადიციონალისტი შიიტი სასულიერო პირი იყო და, შესაბამისად, ხომეინის ველაიათ-ე ფაყიჰის (ისლამური სამართალმცოდნის მმართველობა) იდეას არ იზიარებდა.

შარიათმადარის სერიოზული პოლიტიკური გავლენა ჰქონდა, განსაკუთრებით თავის მშობლიურ თავრიზში, ხოლო ისლამური სახალხო რესპუბლიკური პარტია (ისრპ), რომელიც მასთან იყო დაკავშირებული, რევოლუციის მონაწილე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტია იყო. ეს პარტია აღსანიშნავია იმითაც, რომ რევოლუციის პერიოდში არახომეინისტური ისლამისტური პარტიები იშვიათობა იყო.

თუმცა შარიათმადარისნაირი ფიგურა ახალი ხელისუფლებისთვის გამოწვევა იყო. 1982 წელს იგი დაადანაშაულეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში და პოლიტიკური არენიდან განდევნეს. იგი ოთხი წლის შემდეგ, 80 წლის ასაკში, შინა პატიმრობაში გარდაიცვალა.

გარდა ამისა, შარიათმადარის დიდი აიათოლას ტიტულიც ჩამოართვეს, რაც ხომეინის კიდევ ერთი რევოლუციის ნიშანი იყო, ამჯერად უკვე ირანულ შიიტურ სამღვდელოებაში. შარიათმადარის ჩამოქვეითებამ აჩვენა, რომ ახალი ხანა დაიწყო ირანის შიიტურ სამღვდელოებაში, რომელშიც სასულიერო პირთა რანგების მინიჭება თუ ჩამორთმევა უკვე ისლამური რესპუბლიკის მიერ ხდება.

საკვანძო სიტყვები: *შარიათმადარი, ხომეინი, შიიტური სამღვდელოება, ველაიათ-ე ფაყიჰი, ირანის რევოლუცია*

აიათოლა სეიედ მოჰამად ქაზემ შარიათმადარი (1906-1986 წწ.) 1979 წლის ირანის რევოლუციის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. ამასთანავე, იგი იყო ერთ-ერთი გამორჩეული მაღალი რანგის სასულიერო პირი, რომელსაც რევოლუციის წინამძღოლისგან, აიათოლა რუჰოლაჰ ხომეინისგან, განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ჰქონდა. შარიათმადარი ტრადიციონალისტი შიიტი სასულიერო პირი იყო და, შესაბამისად, ხომეინის ველაიათ-ე ფაყიჰის (ისლამური სამართალმცოდნის მმართველობა) იდეას არ იზიარებდა. მიუხედავად იმისა, რომ შარიათმადარიმ თავდაპირველად მხარი დაუჭირა რევოლუციასაც და ხომეინისაც, იგი კრიტიკულად

იყო განწყობილი ახალი პოლიტიკური მოწყობისა და ისლამური რესპუბლიკის ხომეინისეული ხედვისადმი.

შარიათმადარის სერიოზული პოლიტიკური გავლენა ჰქონდა, განსაკუთრებით თავის მშობლიურ თავრიზში, ხოლო ისლამური სახალხო რესპუბლიკური პარტია (ისრპ), რომელიც მასთან იყო დაკავშირებული, რევოლუციის მონაწილე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტია იყო. ეს პარტია აღსანიშნავია იმითაც, რომ რევოლუციის პერიოდში არახომეინისტური ისლამისტური პარტიები იშვიათობა იყო.

თუმცა, რა თქმა უნდა, შარიათმადარისნაირი ფიგურა ახალი ხელი-სუფლებისთვის გამოწვევა იყო. 1982 წელს იგი დაადანაშაულეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ სადეყ ყოთბზადესთან ერთად, რომელიც თავის დროზე ხომეინისთან დაახლოებული პირი იყო. შედეგად, შარიათმადარი პოლიტიკური არენიდან განდევნეს. იგი ოთხი წლის შემდეგ, 80 წლის ასაკში, შინა პატიმრობაში გარდაიცვალა.

გარდა ამისა, შარიათმადარის დიდი აიათოლას ტიტულიც ჩამოართვეს, რაც ხომეინის კიდევ ერთი რევოლუციის ნიშანი იყო, ამჯერად უკვე ირანულ შიიტურ სამღვდელოებაში. 1979 წლის ირანის რევოლუცია იყო გარდამტეხი ტრადიციულ შიიტურ იერარქიაში, როდესაც ზოგიერთმა სასულიერო პირმა შეძლო რანგის მომატება არა ისლამური სემინარიების ტრადიციული სისტემით, არამედ სახელმწიფოს მეშვეობითა და პოლიტიკური გზებით. შარიათმადარის ჩამოქვეითებამ კი აჩვენა, რომ ახალი ხანა დაიწყო ირანის შიიტურ სამღვდელოებაში, რომელშიც სასულიერო პირთა რანგების მინიჭება თუ ჩამორთმევა უკვე ისლამური რესპუბლიკის მიერ ხდება.

ტრადიციული შიიტური სამღვდელოება და ველაიათ-ე ფაყიჰის თეორია

შიიზმის ჩამოყალიბება ისლამში პოლიტიკურ განხეთქილებას უკავშირდება. სწორედ მუსლიმური თემის წინამძღოლის შესახებ დავამ წარმოშვა ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობა. მოციქულ მუჰამედის ბიძაშვილის, ალის, მომხრეები თვლიდნენ (ში’ათ ულ-‘ალი - ალის პარტია)[1], რომ მუჰამედის მემკვიდრე სწორედ ის უნდა გამხდარიყო, და მიაჩნდათ, რომ მუსლიმური თემისთვის მუჰამედის სახლეულს უნდა ეხელმძღვანელა. მიუხედავად იმისა, რომ ალი ბოლოს მაინც გახდა ხალიფა (657-661 წწ.), მისი შვილის, ჰუსეინის, წარუმატებელმა კამპანიამ 680 წელს შიიზმის დომინანტურ ჯგუფად ქცევის პერსპექტივები გააქრო და დღემდე შიიტები ისლამურ სამყაროში უმცირესობას წარმოადგენენ.

თუმცა სეფიანური ირანის ჩამოყალიბების შემდეგ შაჰ ისმაილ I-მა იმამიტური (თორმეტიანული) შიიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რამაც შიიზმის მნიშვნელობა და გავლენები ბევრად გაზარდა. იმამიტების რწმენით, მე-12 იმამი მაჰდი მე-10 საუკუნეში გაუჩინარდა და მისი არყოფნის პერიოდში მუსლიმურ თემს მუჯთაჰიდებმა, სასულიერო სწავლულებმა, უნდა უხელმძღვანელონ. მიუხედავად შიიზმში ლეგიტიმაციის საკითხის პოლიტიკური ელფერისა, იმამატისა და შემდგომ პერიოდშიც შიიტ ლიდერებში კვიეტიზმი, ანუ

[1] ნანი გელოვანი და გიორგი სანიკიძე, ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია) (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009), 227.

პოლიტიკურ საკითხებში ჩაურევლობა, მაინც მეტწილად დომინირებდა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შიიტების უმცირესობაში ყოფნა და პოლიტიკური ძალაუფლების არქონა იყო.[2]

შიიტური სამღვდელოება პოლიტიკურად ნაკლებად აქტიური იყო სეფიანთა ეპოქაში, რადგან სეფიანთა დინასტია იმამიტებისთვის მეტწილად ლეგიტიმურ ხელისუფლებას წარმოადგენდა. შიიტური სამღვდელოების გავლენები იზრდება უკვე ყაჯართა ეპოქაში და ყალიბდება სახელმწიფოს პარალელური იერარქია, რომელიც ნელ-ნელა იღებს იმ სახეს, რაც დღეს არსებობს შიიტურ სამყაროში.[3]

კვიეტიზმის პოპულარობა შიიტურ სამღვდელოებაში არ გულისხმობდა პოლიტიკისგან სრულ გამოთიშვას. პირველ რიგში, შიიტურ სამღვდელოებას უდიდესი გავლენები ჰქონდა სხვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ სფეროში, იქნებოდა ეს სასამართლო ხელისუფლება თუ განათლება. გარდა ამისა, 1979 წლის რევოლუციამდეც თანამედროვე ირანს ახსოვს პოლიტიკურად აქტიური სასულიერო პირები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სხვადასხვა ისტორიულ ეპიზოდში, მაგალითად, აიათოლა მირზა შირაზი 1890-იანი წლების თამბაქოს ამბოხის დროს[4], შეიხ ფაზლოლაჰ ნური კონსტიტუციური რევოლუციის დროს[5], თუ აიათოლა აბოლყასემ ქაშანი მოჰამად მოსადეყის პრემიერმინისტრობის პერიოდში[6]. ამასთანავე, 1906 წლის კონსტიტუციაც რეალურად აღიარებდა შიიტური სამღვდელოების როლზე პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოითხოვდა, რომ ხუთი მუჯთაჰიდისგან შემდგარ საბჭოს კანონმდებლობის ზედამხედველობა გაეწია.[7]

თუმცა აიათოლა ხომეინის გამოჩენამ და მისმა პოლიტიკურმა თეორიამ „ველაიათ-ე ფაყიჰ“ მთლიანად შეარყია შიიტური სამღვდელოებისა და პოლიტიკის ურთიერთობა, რადგან მისი თეორია არა მხოლოდ პოლიტიკაში ჩართვას, არამედ კლერიკალურ მმართველობას გულისხმობდა. ამასთანავე, ეს თეორია ქადაგებდა ერთი კონკრეტული ისლამური სწავლულის მიერ ერთპიროვნულ მმართველობას და არა კოლექტიურ წინამძღოლობას, რომელიც მანამდე იყო მიღებული შიიტურ ისლამში.

აღსანიშნავია, რომ იმამიტურ შიიზმში, მიუხედავად არსებული იერარქიისა, არ არსებობს ერთი უმაღლესი იერარქი. ყველაზე მაღალი რანგი, რომელსაც მუჯთაჰიდმა შეიძლება მიაღწიოს, არის მარჯა’ ალ-თაკლიდ[8] (არაბულად, სპარსულად - მარჯა’-ე თაყლიდ), ანუ მიბაძვის წყარო (შემოკლებით მარჯა), რომელთაც ხშირად დიდ აიათოლასაც უწოდებენ სხვა აიათოლებისგან გამოსარჩევად. ირანში და ზოგადად შიიტურ სამყაროში (ბევრი შიიტი მაღალი იერარქი ერაყში ცხოვრობს, სადაც მდებარეობს ნაჯაფი - შიიტური სასულიერო სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი) ერთ მოცემულ მომენტში ყოველთვის

[2] გელოვანი და სანიკიძე, ისლამი, 235.
[3] გელოვანი და სანიკიძე, ისლამი, 174.
[4] Stephen Kinzer, All The Shah’s Men: An American Coup and the Roots of Middle East Terror (John Wiley & Sons, 2003), 32.
[5] Ervand Abrahamian, Iran between Two Revolutions (Princeton University Press, 1982), 83.
[6] Abrahamian, Iran between Two Revolutions, 269.
[7] “Constitutions and Constitutional Debates,” Iran Data Portal, accessed September 12, 2025. https://irandataportal.syr.edu/constitutions-and-constitutional-debates.
[8] გელოვანი და სანიკიძე, ისლამი, 175.

რამდენიმე მარჯაა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ზოგი უფრო ავტორიტეტულია, მაგრამ სხვებს რანგით არ აღემატება. სასულიერო პირი მარჯა ხდება სხვა მარჯების აღიარების შედეგად და ერთ მარჯას, ყოველ შემთხვევაში 1979 წლის რევოლუციამდე, სხვა მარჯას ჩამოქვეითება არ შეეძლო.

მე-20 საუკუნეში ირანელ სასულიერო პირებს ფეჰლევიანთა დინასტიასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა მათ შორის აქტიური თანამშრომლობა ყოველთვის იყო, ხოლო შიიტური სამღვდელოების მაღალი იერარქების დიდი ნაწილი კვიეტიზმს მისდევდა. ასეთი იყო ჰოსეინ ბორუჯერდი, რომელიც თავის გარდაცვალებამდე 1961 წელს ირანელ მარჯებს შორის ყველაზე ავტორიტეტულად ითვლებოდა.[9] სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო აიათოლა ხომეინიმ თავისი აქტიური პოლიტიკური კამპანია შაჰ მოჰამად რეზა ფეჰლევის წინააღმდეგ, რომლის პირველი ეპიზოდიც 1963 წლის ამბოხი იყო.[10]

ისტორიკოსი ერვანდ აბრაჰამიანი ბორუჯერდის გარდაცვალებისას ირანში შვიდი წამყვან სასულიერო პირს თვლის: აჰმად მუსავი-ხონსარი, აბოლყასემ მუსავი-ხოი, შაჰაბ ალ-დინ ჰოსეინ მარაში-ნაჯაფი, მოჰამად რეზა მუსავი-გოლფაიეგანი, მოჰამად ჰადი მილანი, მოჰამად ქაზემ შარიათმადარი და რუჰოლაჰ ხომეინი.[11] მათგან დიდი ნაწილი პოლიტიკურად ნაკლებად აქტიური იყო და სწორედ შარიათმადარი და ხომეინი გამოჩნდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, ხოლო ბევრი სასულიერო პირი, რომლებიც 1979 წლის რევოლუციაში არიან ჩართული, შემდგომ დაწინაურებული ან დაბალი რანგის მოლები იყვნენ, რომელთაგან დიდი ნაწილი ხომეინის მოწაფეც იყო.[12]

ხომეინიმ მალევე დაიწყო წინააღმდეგობის მოძრაობა და 1963 წლის ივნისში წინ გაუძღვა ამბოხს შაჰის თეთრი რევოლუციის წინააღმდეგ. შაჰის რეფორმები, რომლებიც თეთრი რევოლუციის სახელითაა ცნობილი, მიწის რეფორმასაც გულისხმობდა, რომელიც პირდაპირ ურტყამდა რელიგიურ ორგანიზაციებსა და ფონდებს და შიიტურ სამღვდელოებაში დამატებით უკმაყოფილებას იწვევდა. ამ აჯანყების ჩახშობისას ხომეინი დააპატიმრეს და, საგულისხმოა, რომ იგი სიკვდილით დასჯას სხვა აიათოლების, განსაკუთრებით შარიათმადარის, წყალობით გადაურჩა[13], რადგან კოლეგებმა მას მარჯას ტიტული მიანიჭეს, რათა შაჰის ხელისუფლებას მისი სიკვდილით დასჯისგან თავი შეეკავებინა.[14]

ხომეინი ერაყში გადაასახლეს და სწორედ გადასახლებაში ჩამოაყალიბა მან ველაიათ-ე ფაყიჰის თეორია, რომელიც ეწინააღმდეგება შიიტური სამღვდელოების კოლექტიურ მმართველობას და ერთ კონკრეტულ ფაყიჰს აწესებს არათუ მუსლიმური თემის მმართველად, არამედ სახელმწიფოს უზენაეს წინამძღოლად.[15] ტრადიციონალისტი სასულიერო პირებისთვის, ისეთი როგორიც

---

[9] Ervand Abrahamian, Radical Islam: The Iranian Mojahedin (London: Tauris, 1989), 19.
[10] Abrahamian, Radical Islam, 21.
[11] Abrahamian, Radical Islam, 20.
[12] Said Amir Arjomand, The Turban for the Crown: The Islamic Revolution in Iran (New York, Oxford: Oxford University Press, 1988), 98.
[13] Abrahamian, Radical Islam, 21.
[14] Kenrick Abbott, "Contemporary Shi'ism as Political Ideology: The Views of Shari'atmadari, Taliqani, and Khumayni" (PhD diss., Institute of Islamic Studies, McGill University, Montreal, Canada, 1990), 20.
[15] Abrahamian, Radical Islam, 22.

შარიათმადარი იყო, ხომეინისეული ფაყიჰი უტოლდებოდა შეუმცდარ იმამს[16] (ხომეინის მისი მხარდამჭერები რევოლუციამდე და შემდეგ უკვე ისლამური რესპუბლიკა იმამ ხომეინიდ მოიხსენიებენ)[17], რაც მე-12 იმამის არყოფნის დროს მიუღებელი რამ იყო. სწორედ შარიათმადარის წინააღმდეგობამ ველაიათ-ე ფაყიჰის იდეისადმი ეს ორი სასულიერო-პოლიტიკური ლიდერი ერთმანეთთან დაპირისპირების გზაზე დააყენა.

აიათოლა შარიათმადარი და ისლამური რევოლუცია

აბრაჰამიანი 1979 წლის რევოლუციაში მონაწილე პოლიტიკურ მოძრაობებს ექვს ჯგუფად ყოფს: კლერიკალი პოპულისტები, კლერიკალი ლიბერალები, საერო-რელიგიური ლიბერალები, საერო-რელიგიური რადიკალები, სეკულარული ლიბერალები და სეკულარული რადიკალები.[18] კლერიკალ პოპულისტებს მიეკუთვნებოდნენ ხომეინი და მისი მიმდევრები, ხოლო კლერიკალ ლიბერალებში აბრაჰამიანი სწორედ შარიათმადარისა და მის მიმდევრებს მოიაზრებს (საერო-რელიგიურ ლიბერალებში ისლამური რესპუბლიკის პირველი პრემიერმინისტრის, მეჰდი ბაზარგანის, თავისუფლების მოძრაობა მოიაზრება, საერო-რელიგიურ რადიკალებში - ირანის ხალხის მუჯაჰიდების ორგანიზაცია, სეკულარულ ლიბერალებში - ეროვნული ფრონტი, რომელიც მოსადეყის იდეების ერთგული იყო, ხოლო სეკულარულ რადიკალებში - თუდეს პარტია, ხალხის ფედაების ორგანიზაცია და სხვა მემარცხენე-კომუნისტური დაჯგუფებები).[19]

შარიათმადარი და მისი მომხრეები რევოლუციის ბოლო მომენტამდე მონარქიის შენარჩუნებას ემხრობოდნენ, ოღონდ კონსტიტუციური მონარქიის, რომელიც 1906 წლის კონსტიტუციაში იყო გათვალისწინებული.[20] ისინი თვლიდნენ, რომ შიიტურ სამღვდელოებას უნდა ეთამაშათ როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ოღონდ მაშინ ჩართულიყვნენ თუკი ქვეყნის ხელისუფლება შარიათის კანონებს უგულებელყოფდა, სხვა მხრივ კი ქვეყანაში პლურალისტური სისტემა უნდა ყოფილიყო, ხოლო სახელმწიფო ხალხის მიერ არჩეულ ხელმძღვანელობას უნდა ემართა.[21] გარდა ამისა, კლერიკალი ლიბერალები, აბრაჰამიანის თქმით, არ იზიარებდნენ პოპულისტურ რიტორიკას ეკონომიკურ საკითხებში და აქაც ტრადიციონალისტურ ხაზს ატარებდნენ.[22]

მიუხედავად იმისა, რომ შარიათმადარი ხომეინის 1963 წელს შაჰის რეპრესიების წინააღმდეგ დაეხმარა, მათ პაექრობას მალევე ჩაეყარა საფუძველი, როდესაც მათ მომხრეებს შორის შეტაკება მოხდა ყუმში, ირანის რელიგიურ დედაქალაქში, სადაც მთავარი შიიტური სემინარიები მდებარეობს. ერაყში გადასახლებიდან მალევე ხომეინის მომხრეებმა მობილიზაცია დაიწყეს მთელ ირანში მისი ქადაგებების გასავრცელებლად. ამავე პერიოდში შარიათმადარიმაც ყუმში გახსნა მსგავსი სასწავლო ცენტრი, რომელიც ხომეინის მომხრეების

[16] Arjomand, The Turban for the Crown, 99.
[17] Arjomand, The Turban for the Crown, 101.
[18] Abrahamian, Radical Islam, 42.
[19] Abrahamian, Radical Islam, 42-47.
[20] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 27.
[21] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 29.
[22] Abrahamian, Radical Islam, 45.

მსგავსად თანამედროვე აუდიოტექნიკას იყენებდა მისიონერული საქმიანობისთვის.[23] სწორედ ამ კონკურენციამ გამოიწვია მათ მომხრეებს შორის დაპირისპირება.

1978 წლის დასაწყისში ირანში საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, რომელიც ერთ წელიწადში ისლამური რევოლუციით დაგვირგვინდა. საპროტესტო მოძრაობის უნივერსალურ ლიდერად სხვადასხვა რელიგიური თუ არარელიგიური ჯგუფი ხომეინის მოიაზრებდნენ, რომელიც ამ დროს ჯერაც გადასახლებაში ცხოვრობდა. თუმცა შაჰის საწინააღმდეგო კოალიცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, და ისლამისტების დიდი ნაწილიც არ იზიარებდა სრულად ხომეინის იდეებს. რეალურად, საბოლოო ჯამში, ხომეინისაც მოუწია საკუთარი იდეოლოგიის ადაპტირება რევოლუციური რეალობისადმი. მის თავდაპირველ იდეოლოგიაში ფაყიჰი აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მმართველი იყო და არავითარ სახალხო ლეგიტიმაციას არ ეყრდნობოდა. საბოლოოდ, რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა ისლამური რესპუბლიკა, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო იდეის სინთეზი, რომელშიც უზენაესი ლიდერი ღვთიური ლეგიტიმაციით სარგებლობს, თუმცა არსებობს არჩევითი ინსტიტუტები, როგორიცაა პრეზიდენტი და პარლამენტი (რა თქმა უნდა, ესენიც ფაყიჰის და მის მიერ დაქვემდებარებული საბჭოების ზედამხედველობით).

თუმცა ხომეინი უკვე მრავალი წლის განმავლობაში ქადაგებდა მონარქიის დამხობას და ამ კუთხით ნამდვილად შეურიგებელი და უკომპრომისო იყო. რევოლუციის პერიოდში იგი ყველანაირად ცდილობდა უკუეგდო შაჰის ან შაჰის მთავრობის შემოთავაზებები, რათა შაჰისა და მის მთავრობებს შორის არანაირი ლეგიტიმაციური ბმული არ ყოფილიყო.[24] შარიათმადარი, რომლიც მიმდევრებიც ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული რევოლუციურ პროცესებში, ასეთი შეურიგებელი არ ყოფილა და 1978 წლის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მონარქიის შენარჩუნებას ემხრობოდა, ოღონდ 1906 წლის კონსტიტუციის ფარგლებში. მისი პოზიცია საშუალებას აძლევდა შედარებით ზომიერად განწყობილ ისლამისტებს თავი მისი პოლიტიკური ქოლგის ქვეშ მოეაზრებინათ.[25]

ზოგადად, რევოლუციის პერიოდში რამდენიმე წამყვანი აიათოლა იყო, მათ შორის[26]: ხომეინი, შარიათმადარი, აიათოლა მაჰმუდ თალეყანი, რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი და გავლენიანი სასულიერო პირი, რომელიც მემარცხენე ისლამისტებში პოპულარობით სარგებლობდა[27] (გარდაიცვალა 1979 წლის სექტემბერში), აიათოლა მორთეზა მოთაჰარი (მოკლეს 1979 წლის მაისში), აიათოლა მოჰამად ბეჰეშთი, ისლამური რესპუბლიკური პარტიის (ირპ) პირველი ლიდერი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (დაიღუპა ირპ-ის ოფისის აფეთქებისას 1981 წლის ივნისში სხვა 70-ზე მეტ პირთან ერთად), და აიათოლა ჰოსეინ ალი მონთაზერი, რომელიც შემდეგ ხომეინის შემცვლელად მოიაზრებოდა,

[23] Arjomand, The Turban for the Crown, 96.
[24] Arjomand, The Turban for the Crown, 102.
[25] Arjomand, The Turban for the Crown, 113.
[26] Abrahamian, Radical Islam, 43.
[27] Abrahamian, Radical Islam, 192.

მაგრამ 1988 წლის სიკვდილით დასჯის კამპანიასთან დაპირისპირების გამო ჩამოშორდა ხელისუფლებას.[28]

შარიათმადარის კომპრომისულობა მაინც ჩაყლაპა რევოლუციის რადიკალიზმმა. პირველ რიგში, შაჰის მთავრობა მასთან დიალოგზე არ წამოსულა, ხოლო მეორე მხრივ, რევოლუციური სიტუაცია მასაც აიძულებდა რადიკალური პოზიცია დაეკავებინა. გარდა ამისა, რევოლუციის პერიოდში, 1978 წლის მაისში, შაჰის ძალები თავს დაესხნენ შარიათმადარის სახლსაც, რა დროსაც მისი ორი მიმდევარიც დაიღუპა.[29] ასე რომ, მაშინ როცა შაჰის დამხობა უკვე რეალურ პერსპექტივად ჩანდა, შარიათმადარიც შეუერთდა მონარქიის დამხობის მომხრეთა რიცხვს.

თუმცა იგი კვლავაც ინარჩუნებდა თავის განსხვავებას ხომეინისგან. მას შემდეგ, რაც ხომეინი გადასახლებიდან დაბრუნდა 1979 წლის 1 თებერვალს, იგი თვითონ ეახლა შარიათმადარის სახლში, რაც რელიგიური თვალსაზრისით შარიათმადარის ხომეინიზე იერარქიაში უფროსობას უსვამდა ხაზს (ასაკით ხომეინი შარიათმადარიზე უფროსი იყო). სწორედ ამ დროს შარიათმადარიმ ხომეინის მოუწოდა, რომ უარი ეთქვა იმამის ტიტულზე, რომელსაც მისი მომხრეები აქტიურად იყენებდნენ. ზოგიერთი ცნობით, ხომეინის დაბრუნებისას შარიათმადარიმ თქვა, რომ მას ეეჭვებოდა, დაფარული იმამი „ეარ ფრანსის თვითმფრინავით დაბრუნებულიყო“, რაც ხომეინის არ მოსწონებია.[30]

შარიათმადარის ასევე ეხამუშებოდა ქვეყნის ახალი სახელწოდება, ისლამური რესპუბლიკა, რომელიც ხომეინის რეფერენდუმზე გაჰქონდა 1979 წლის მარტის ბოლოს. შარიათმადარის თქმით, ქვეყნის სახელში „ისლამურის“ მითითება ზედმეტი იყო, რადგან „ქვეყანა იქნება ისლამური, თუ ირანელები იქნებიან კარგი მუსლიმები“.[31] იგი ასევე მისაღებად თვლიდა არაისლამური იდეოლოგიის ხალხის არჩევას წარმომადგენლებად, თუნდაც კომუნისტების, რადგან სახალხო სუვერენიტეტი შარიათმადარისთვის მნიშვნელოვანი იყო.[32] თუმცა ხომეინისეული რეფერენდუმი მაინც ჩატარდა, რომელშიც ხალხს ორადორი არჩევანი ჰქონდა: ისლამური რესპუბლიკა ან არსებული წესწყობილების შენარჩუნება, ანუ მონარქიის, რომელიც უკვე აღარ არსებობდა - შაჰი გაქცეული იყო, ხოლო მისი მთავრობა დამხობილი.

რევოლუციის გამარჯვებიდან მალევე შარიათმადარის მომხრეებმა ჩამოაყალიბეს ისლამური სახალხო რესპუბლიკური პარტია (ისრპ)[33], რომელიც ხომეინისტების ისლამური რესპუბლიკური პარტიის (ირპ) პირდაპირი ისლამისტური მეტოქე იყო იდეოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა ისრპ-ს, რა თქმა უნდა, არ ჰქონია ისეთი გავლენები, როგორიც ირპ-ს, და მისი პოპულარობა მეტწილად ირანის აზერბაიჯანით შემოიფარგლებოდა, რომელიც შარიათმადარის მშობლიური მხარე იყო. საგულისხმოა, რომ თვითონ შარიათმადარი არ იყო

[28] Olivier Roy, “The Crisis of Religious Legitimacy in Iran,” *Middle East Journal* 53, no. 2 (spring 1999): 203.
[29] Arjomand, The Turban for the Crown, 118.
[30] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 27.
[31] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 28.
[32] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 29.
[33] Abrahamian, Radical Islam, 45.

პარტიულ პოლიტიკაში ჩართული და არც არჩევნებში მიუღია მონაწილეობა, რადგან ესეც არ ჯდებოდა მის ტრადიციონალისტურ ხედვაში.

ისრპ-ს რამდენიმე გამორჩეული წევრი ჰყავდა. მისი დამაარსებელი იყო რაჰმათოლაჰ მოყადამ-მარაღეი, 1979 წლის კონსტიტუციის მიმღები დამფუძნებელი კრების წევრი. იგი რევოლუციამდელი პარლამენტის წევრიც იყო 1960-იან წლებში, რის გამოც ერთ-ერთი იშვიათი ირანელი პოლიტიკოსთაგანია, ვინც რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოების წევრი იყო. 1979 წელს რამდენიმე თვით იგი აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციის (დედაქალაქი თავრიზი) გუბერნატორიც იყო. დამფუძნებელ კრებაში მან კონსტიტუციაში ველაიათ-ე ფაყიჰის პრინციპის შეტანის წინააღმდეგ მისცა ხმა. ისრპ-ის გაუქმების შემდეგ მან ქვეყანა დატოვა, თუმცა 1994 წელს ირანში დაბრუნდა და პოლიტიკაში აღარ ჩართულა.[34]

ისრპ-ის სხვა აღსანიშნავი წევრები და ასოცირებული ფიგურები იყვნენ: სეიედ ჰადი ხოსროშაჰი, პირველი და მეორე მოწვევის ექსპერტთა კრების (უზენაესი ლიდერის ამრჩევი ორგანო) და ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველი ელჩი ვატიკანში[35]; ნასერ მინაჩი, ისლამური დამოძღვრის მინისტრი (1979-80) და 1979 წლის კონსტიტუციის პირველი მონახაზის ერთ-ერთი ავტორი[36]; მოჰამად ალი მოულავი, რევოლუციის შემდეგ ეროვნული ბანკის პირველი უფროსი, გადადგა 1979 წლის ნოემბერში[37]; მოჰამად ფოუზი, 1979 წლის დამფუძნებელი კრების წევრი, პარტიის გაუქმების შემდეგ ყუმში წიგნების გამყიდველი გახდა[38].

აიათოლა შარიათმადარი და ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია

შარიათმადარი ხომეინისთან პირდაპირი კონფრონტაციის გზაზე უკვე ისლამური რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში ველაიათ-ე ფაყიჰის შეტანამ დააყენა, თუმცა მთავარი დაპირისპირება 1979 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოხდა, რის შემდეგად ხომეინი დარწმუნდა, რომ შარიათმადარი საფრთხეს წარმოადგენდა.

1979 წლის აგვისტოში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელსაც ისლამური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია უნდა შეედგინა. არჩევნების შედეგად კრების უდიდესი ნაწილი სწორედ ხომეინის მომხრეები აღმოჩნდნენ.[39] საინტერესოა, რომ თავდაპირველად ხომეინი თანახმა იყო მანამდე საფრანგეთისა კონსტიტუციის ყაიდაზე შედგენილი კონსტიტუციის პირველი მონახაზი ყოველგვარი დამფუძნებელი კრების გარეშე გაეტანა რეფერენდუმზე.[40] იგი უკვე წარმოადგენდა დე ფაქტო იმ ფაყიჰს, უზენაეს ლიდერს, რომელიც ქვეყანას წინამძღოლობდა და არ თვლიდა კონსტიტუციას ან ხალხის მიერ არჩეულ კრებას საჭიროდ საკუთარი ლეგიტიმაციის განსამტკიცებლად. თუმცა პრემიერმინისტრი

---

[34] Mehrzad Boroujerdi, Postrevolutionary Iran a Political Handbook. (Syracuse, NY: Syracuse University Press, 2018), 611.
[35] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 558.
[36] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 567.
[37] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 608.
[38] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 468.
[39] Abrahamian, Radical Islam, 54.
[40] Shaul Bakhash, The Reign of the Ayatollahs: Iran and the Islamic Revolution (New York: Basic Books, Inc., 1984), 74.

ბაზარგანი და მომავალი პირველი პრეზიდენტი აბოლჰასან ბანისადრი კრების არჩევას უჭერდნენ მხარს სახალხო ლეგიტიმაციის გამო და იმის იმედითაც, რომ ისინიც შეიტანდნენ სასურველ პუნქტებს კონსტიტუციაში. ისტორიკოს შაულ ბახაშის თქმით, მათ ერთ-ერთი კამათის დროს დაუპირისპირდა აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი (მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე, მეოთხე პრეზიდენტი და ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი), რომელმაც მათ უთხრა, რომ ხალხი კრებაში რადიკალებს აირჩევდა, რომლებიც კონსტიტუციაში ისეთ რამეებს ჩაწერდნენ, რომ ბაზარგანი და ბანისადრი ამას ინანებდნენ.[41]

გარდა ამისა, შარიათმადარი თვლიდა, რომ კრებაში 270 წევრი უნდა ყოფილიყო, რათა სახალხო წარმომადგენლობა დიდი ყოფილიყო, ხოლო ხომეინის მხოლოდ 45 წევრი უნდოდა. ბოლოს იგი თალეყანის შემოთავაზებულ 75-წევრიან კრებას დათანხმდა.[42] კრებამ მუშაობა აგვისტოში დაიწყო და თავდაპირველი მონახაზი უფრო მეტად შარიათმადარის იდეოლოგიას მიუყვებოდა. იგი არჩეულ პრეზიდენტსა და პარლამენტს მოიაზრებდა, ხოლო შიიტური სამღვდელოება ინარჩუნებდა თავის ზედამხედველობას კანონმდებლობაზე. თუმცა მოგვიანებით ხომეინის მომხრეებმა კონსტიტუციაში ველაიათ-ე ფაყიჰის პოსტულატები შეიტანეს.[43]

დამფუძნებელი კრების მუშაობას ხელისუფლებისთვის სასარგებლოდ დაემთხვა „იმამის ხაზის მიმდევარი სტუდენტების“ მიერ 4 ნოემბერს აშშ-ის საელჩოს აღება და ამერიკელი დიპლომატების მძევლებად აყვანა. ამ ქმედებას ხომეინის მხარდაჭერა, ბაზარგანის მთავრობის გადადგომა და სიტუაციის კიდევ უფრო რადიკალიზაცია მოჰყვა. საელჩოში გამაგრებული ჯგუფი დროდადრო იქიდან სხვადასხვა დოკუმენტს აქვეყნებდა ხელისუფლების სხვადასხვა ოპონენტის დისკრედიტაციისთვის.[44] სწორედ ამ პერიოდში კონსტიტუციის საბოლოო მონახაზში შევიდა ველაიათ-ე ფაყიჰის პრინციპი, ხოლო საბოლოო ვარიანტი დეკემბრის პირველ რიცხვებში რეფერენდუმზე გავიდა და დამტკიცდა.[45]

შარიათმადარიმ დაგმო ამერიკელი დიპლომატების მძევლებად აყვანა ნოემბერშივე[46] და ასევე ახალი კონსტიტუციის მონახაზიც გააკრიტიკა, რადგანაც მისთვის ველაიათ-ე ფაყიჰი ფაქტობრივად აუქმებდა იმავე კონსტიტუციაში არსებულ სახალხო სუვერენიტეტის პრინციპებს.[47] უზენაეს ლიდერს ახალი კონსტიტუცია არანაირ შეზღუდვებს არ უწესებდა. შარიათმადარის კრიტიკამ მისი მომხრეების მიერ რეფერენდუმის ბოიკოტი გამოიწვია, რის გამოც ირანის აზერბაიჯანში აქტივობა ძალიან დაბალი იყო.[48] რეფერენდუმიდან ორ დღეში, 5 დეკემბერს, შარიათმადარის სახლს ყუმში თავს დაესხნენ, რამაც გამოიწვია ბრაზი შარიათმადარის მომხრეებში და დაიწყო თავრიზის ამბოხი.[49]

---

[41] Bakhash, The Reign of the Ayatollahs, 75.
[42] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 35.
[43] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 36.
[44] Bakhash, The Reign of the Ayatollahs, 90.
[45] Arjomand, The Turban for the Crown, 151.
[46] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 12.
[47] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 36.
[48] Arjomand, The Turban for the Crown, 140.
[49] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 12.

6 დეკემბერს ასობით ათასი დემონსტრანტი გამოვიდა თავრიზში საპროტესტოდ და დაიკავეს სამთავრობო შენობები და რადიო, საიდანაც დემონსტრანტები საპროტესტო განცხადებებს აკეთებდნენ. შეტაკებები მოხდა მათ და ხელისუფლების მომხრე ჯგუფებს შორის, რომელთაც მხარს უჭერდა თეირანის რადიო, ხოლო მათ ბრალდებებს შარიათმადარის მომხრეები მათ მიერ დაკავებული თავრიზის რადიოდან პასუხობდნენ.[50]

თუმცა აღსანიშნავია, რომ შარიათმადარის მომხრეები არ გამოდიოდნენ ხომეინის წინააღმდეგ და მას კვლავაც, როგორც სხვა ოპოზიციური ჯგუფები, თავიანთ წინამძღოლად აღიარებდნენ. ისტორიკოსი საიდ ამირ არჯომანდი ირონიულად აღნიშნავს, რომ დემონსტრანტები მოითხოვდნენ სახელმწიფო ტელერადიო მაუწყებლის დირექტორის სიკვდილით დასჯას, დიქტატორული კონსტიტუციის შეცვლას, მაგრამ ამავდროულად ხომეინის კვლავ იმამად მოიხსენიებდნენ.[51] ზოგადად, ხომეინი რევოლუციის წლებში ახერხებდა ერთგვარი არბიტრის პოზიციის შენარჩუნებას და ოპოზიციური ჯგუფები ხელისუფლებასთან დაპირისპირების პირობებშიც კი ცდილობდნენ ხომეინისთან დაპირისპირება აერიდებინათ და მას კვლავაც თავიანთ ლიდერად აღიარებდნენ. ხალხის მუჯაჰიდებიც კი, რომლებმაც 1981 წელს ისლამურ რესპუბლიკას ომი გამოუცხადეს, ერთი წლით ადრე ხომეინის „ჩვენს დიდ მამად“ მოიხსენებდნენ[52], მიუხედავად იმისა, რომ ხომეინი მათ არჩევნებში მონაწილეობას აქტიურად ბლოკავდა და აფერხებდა.

თავრიზის ამბოხიდან არჯომანდი გამოჰყოფს 7 დეკემბრის დემონსტრაციას და შარიათმადარის პოლიტიკური მოკავშირის, ჰასან ნაზიჰის, გამოსვლას. ნაზიჰი რევოლუციის შემდეგ ირანის სანავთობო კომპანიის დირექტორი გახდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ირპ-ის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირების შემდეგ გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ნაზიჰმა თავრიზში შეკრებილ ხალხს მიმართა, რომ პერსონალიზებული მმართველობის და ახალ კონსტიტუციაში გამოცხადებული დესპოტიზმის დასრულებამდე ებრძოლათ. ეს მიმართვა სამჯერ გადაიცა დემონსტრანტების მიერ დაკავებული რადიოდან. თუმცა არჯომანდის თქმით, ხალხმა არ მოუსმინა მას და სამაგიეროდ მოუსმინა თაჰერ აჰმადიზადეს, მოსადეყის მომხრე ძველ პოლიტიკოსს, რომელმაც შეკრებილებს მიმართა, რომ ხომეინი ჩაგრულთა მედროშე იყო და მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხის მხარდაჭერა სჭირდებოდა.[53]

ხელისუფლებამ გამოიყენა ის სენტიმენტი, რომ ხალხის ნაწილმა მოინანია ხომეინის წინააღმდეგ გამოსვლა და რამდენიმე დღეში ხელისუფლების მომხრე ჯგუფებმა, მემარცხენე ჯგუფების დახმარებით, შეუტიეს დემონსტრანტებს და რადიოზე კონტროლი აღადგინეს.[54] 15 დეკემბერს ხელისუფლებამ ისლამური

[50] “Rebels in Azerbaijan Bar Governor From Gaining Access to Statehouse; Two Planes From Teheran Barred,”, Pranay B. Gupte, The New York Times, December 9, 1979. Accessed September 12, 2025. https://www.nytimes.com/1979/12/09/archives/rebels-in-azerbaijan-bargovernor-from-gaining-access-to-statehouse.html.

[51] Arjomand, The Turban for the Crown, 140.

[52] Abrahamian, Radical Islam, 196.

[53] Arjomand, The Turban for the Crown, 140.

[54] Arjomand, The Turban for the Crown, 140.

სახალხო რესპუბლიკური პარტია დახურულად გამოაცხადა.[55] შარიათმადარის მომხრე და კონსტიტუციის საწინააღმდეგო დემონსტრაციები იანვრამდე გაგრძელდა თავრიზში. დეკემბრის ბოლოს დემონსტრანტებმა ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის რამდენიმე წევრი მძევლადაც აიყვანეს, რომლებიც ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს.[56]

თუმცა თავად შარიათმადარი ამ ამბოხის პერიოდში ნაკლებად ჩანდა და მისმა ყოყმანმა და ნელ-თბილმა მხარდაჭერამაც გამოიწვია ამბოხის მარცხი.[57] 1980 წლის იანვრისთვის ხელისუფლებამ მოახერხა ამბოხის ჩახშობა და შარიათმადარიმაც თავის მომხრეებს მშვიდობისკენ და ძალადობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.[58] 12 იანვარს ამბოხში მონაწილე 11 ადამიანი სიკვდილით დასაჯეს თავრიზში.[59] შარიათმადარი და ისრპ გააუვნებელყვეს. ხომეინის ხელისუფლების მიერ ჩამოშორებული ერთ-ერთი პირველი დიდი დაჯგუფება რევოლუციის შემდეგ სწორედ სხვა ყაიდის ისლამისტური პარტია იყო, რომელიც მას ქვეყანაში ისლამიზმის დაპატრონებაში ეცილებოდა.

შარიათმადარის ჩამოქვეითება და რევოლუცია შიიტურ იერარქიაში

თავრიზის ამბოხის შემდეგ ხელისუფლებამ და მისმა დაქვემდებარებულმა ჯგუფებმა და მედიებმა გააგრძელეს შარიათმადარიზე სიტყვიერი თავდასხმები და მისი რეპუტაციის შელახვა, თუმცა იგი უკვე სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. მთელი 1980-81 წლების განმავლობაში ისლამური რესპუბლიკა შიდა ოპოზიციას ებრძოდა, მოუწყო ბანისადრს იმპიჩმენტი, დაამარცხა ხალხის მუჯაჰიდების ქუჩის შეიარაღებულ ბრძოლებში და ამასთანავე ერაყს ებრძოდა, რომელიც 1980 წლის სექტემბერში დაესხა თავს ირანს. ხელისუფლება ამ ომს აქტიურად იყენებდა შიდა ოპოზიციის გასანადგურებლად. 1982-83 წლებში კი ხელისუფლებამ დაიწყო იმ ოპოზიციური ჯგუფების განადგურება, რომლებიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ სწევდნენ ან უკვე სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდნენ.

1982 წლის აპრილში დააპატიმრეს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სადეყ ყოთბზადე, რომელსაც ხომეინის მკვლელობის დაგეგმვა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დააბრალეს. ყოთბზადე, ბანისადრის მსგავსად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციური ფიგურა იყო, რომელმაც დასავლეთში მიიღო განათლება და ხომეინის პარიზში ყოფნისას მისი ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი გახდა. იგი 1979-80 წლებში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, თუმცა სხვა რევოლუციონერების მსგავსად დამარცხდა ისლამისტებთან გავლენისთვის ბრძოლაში და ხომეინის მხარდაჭერაც დაკარგა. ყოთბზადე 1982 წლის

[55] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 12.

[56] "New Clash Erupts in Tabriz and Hostages Are Seized," John Kifner, The New York Times, December 29, 1979. Accessed September 12, 2025. https://www.nytimes.com/1979/12/29/archives/new-clash-erupts-in-tabriz-and-hostages-are-seized-iran-denounces.html.

[57] Bakhash, The Reign of the Ayatollahs, 90

[58] Nicholas M. Nikazmerad, "A Chronological Survey of the Iranian Revolution," Iranian Studies 13, no. 1/4 (1980): 367.

[59] Nikazmerad, "A Chronological Survey of the Iranian Revolution," 368.

სექტემბერში სიკვდილით დასაჯეს და გახდა ერთადერთი რევოლუციის შემდგომი მინისტრი, რომელსაც ეს ბედი ეწია.[60]

ყოთბზადემ ზეწოლის შედეგად აიათოლა შარიათმადარი დაასახელა შეთქმულების მონაწილედ. შარიათმადარი და მისი ოჯახის წევრები დააკავეს, მათ შორის მისი სიძეც, რომელსაც შარიათმადარისა და ყოთბზადეს შორის შუამავლობა დაბრალდა.[61] შარიათმადარი ტელევიზიით გამოიყვანეს და საჯაროდ მოანანიებინეს ჩადენილი დანაშაული.[62] მსგავსი საჯარო აღიარებები ისლამურ რესპუბლიკაში 1980-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე ჩვეულ მოვლენად იქცა. შარიათმადარი თავისი მაღალი სასულიერო რანგის გამო სიკვდილით ვერ დასაჯეს და შინა პატიმრობა მიუსაჯეს.[63]

შარიათმადარის თვითონ ბრალი არ უღიარებია, ბოდიში მოიხადა, რომ გაგონილი ჭორები გადატრიალების შესახებ, რომელიც მას სერიოზულად არ ჩაუთვლია, შესაბამის უწყებებს არ აუწყა, მაგრამ ხელისუფლებამ ეს აღიარებად გამოაცხადა და მის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია გააძლიერა. მას დააბრალეს აზერბაიჯანული სეპარატიზმი, კავშირები შაჰის საიდუმლო პოლიცია სავაქთან, როიალისტებთან, საუდის არაბეთთან და დასავლეთთან და აშშ-ის საელჩოს დოკუმენტები გამოაქვეყნეს, რომლებშიც იგი ზომიერ სასულიერო პირად იყო მოხსენებული.[64]

თუმცა ყველაზე საგულისხმო მოვლენა 1982 წლის ზაფხულში მოხდა, როცა ხომეინიმ შარიათმადარის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დიდი აიათოლასა და მარჯას სტატუსი წაართვა. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა ყუმში 45-დან 17-მა მაღალმა იერარქმა.[65] როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება ტრადიციული შიიტური იერარქიის წესების წინააღმდეგ იყო, რადგან მარჯას სტატუსის წართმევა იმავე რანგის მქონე სხვა სასულიერო პირს არ შეეძლო. აბრაჰამიანის თქმით, ისლამურმა რესპუბლიკამ გააკეთა ის, რაც მანამდე ვერც ერთმა შაჰმა ვერ გაბედა.[66] შარიათმადარი 1986 წელს შინა პატიმრობაში გარდაიცვალა.

ზოგადად, ისლამურმა რევოლუციამ ბევრ დაბალი რანგის მოლას სწრაფი სოციალური მობილობის საშუალება მისცა.[67] თუკი ტრადიციული წესებით მათ დაწინაურებას წლები სჭირდებოდა, პოლიტიკური საშუალებებით მათ უკვე შეეძლოთ სწრაფად აემაღლებინათ საკუთარი სტატუსი. სწორედ ამიტომ აბრაჰამიანი რევოლუციის შემდგომ ისლამურ რესპუბლიკას არა „აიათოლების რეჟიმად“, არამედ „ჰოჯათ ოლ-ესლამების რეჟიმად“ ახასიათებს[68] (ჰოჯათ ოლ-ესლამი აიათოლაზე დაბალი რანგია). შარიათმადარის ჩამოქვეითების შემდეგ სახელმწიფომ დაიწყო შიიტური სამღვდელოების კონტროლი. მებრძოლ

---

[60] Boroujerdi, Postrevolutionary Iran, 678.
[61] Ervand Abrahamian, Tortured Confessions: Prisons and Public Recantations in Modern Iran (Berkeley, CA: Univ. of California Press, 1999), 157.
[62] Abrahamian, Tortured Confessions, 158.
[63] Abbott, “Contemporary Shi’ism as Political Ideology“, 37.
[64] Abrahamian, Tortured Confessions, 158
[65] Arjomand, The Turban for the Crown, 156.
[66] Abrahamian, Radical Islam, 58.
[67] Arjomand, The Turban for the Crown, 98
[68] Abrahamian, Radical Islam, 44.

სასულიერო პირთა საზოგადოებამ დაიწყო სემინარიების წმენდა შარიათადარის მხარდამჭერებისგან.[69] ჩამოყალიბდა პარასკევის ლოცვის იმამთა პოლიტიკის დამდგენი საბჭო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ქადაგებების შინაარსს აკონტროლებდა.[70]

შიიტურ იერარქიაში პოლიტიკური დაწინაურების საუკეთესო ილუსტრაცია ხომეინის შემცვლელის შერჩევა აღმოჩნდა. ხომეინის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე მის შემცვლელად დასახელებული მონთაზერი ხელისუფლებას ჩამოაშორეს, მაგრამ ერთი პრობლემა რჩებოდა - კონსტიტუციაში უზენაესი ლიდერის ერთ-ერთ კრიტერიუმად მარჯად ყოფნა იყო ჩაწერილი.[71] მონთაზერის გარდა სხვა არც ერთი ირანელი მარჯა იყო პოლიტიკურად აქტიური და ხელისუფლებასთან დაახლოებული, ანუ არ აკმაყოფილებდა კიდევ ერთ კრიტერიუმს - „მიმდინარე მოვლენების ცოდნას“ - ხოლო ზოგი ველაიათ-ე ფაყიჰის პრინციპსაც ეწინააღმდეგებოდა.[72]

შესაბამისად, ხომეინის გარდაცვალების შემდეგ, მარჯად ყოფნის კრიტერიუმი კონსტიტუციიდან ამოიღეს, ხოლო ექსპერტთა კრებამ ახალ უზენაეს ლიდერად მაშინდელი პრეზიდენტი ალი ხამენეი შეარჩია, რომელიც მაშინ მხოლოდ ჰოჯათ ოლ-ესლამის რანგს ატარებდა.[73] უზენაეს ლიდერად არჩევის შემდეგ იგი „ერთ ღამეში“ აიათოლა გახდა და უკვე ამ წოდებით მიმართავდნენ.[74] ხამენეი 1990-იან წლებში ასევე ცდილობდა მარჯას სტატუსის მოპოვებასაც, თუმცა არსებული მარჯებისგან წინააღმდეგობა შეხვდა.[75] ხამენეის მიერ მარჯას რანგის მოპოვების პოლიტიკურ მცდელობა ირანელმა დისიდენტმა სასულიერო პირმა მოჰსენ ქადივარმა შიიტური მარჯას ინსტიტუტის „ტრივიალიზაციად“ შეაფასა.[76]

შიიტური რანგების პოლიტიკური კონტროლი ისლამურ რესპუბლიკაში დღემდე გრძელდება. წლების განმავლობაში აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის, რომელიც შემდგომ წლებში ხამენეის მთავარი მეტოქე გახდა, მისი მომხრეები აიათოლათი მოიხსენიებდნენ, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობა და სახელმწიფო მედიების დიდი ნაწილი ჰოჯათ ოლ-ესლამად მოიხსენებდნენ.[77] საინტერესოა, რომ პრეზიდენტ ებრაჰიმ რაისის (2021-24), რომელიც ხამენეის პროტეჟე იყო, მისი

---

[69] Arjomand, The Turban for the Crown, 156.

[70] Arjomand, The Turban for the Crown, 168.

[71]“Iran (Islamic Republic of) 1979 (Rev. 1989) Constitution,” accessed September 12, 2025. https://www.constituteproject.org/constitution/Iran_1989.

[72] Arjomand, The Turban for the Crown, 156.

[73] “Shocking Video Clip From 1989 Shows Khamenei Elected Only for One Year as a Caretaker.” Radio Farda. Radio Free Europe / Radio Liberty, January 8, 2018. Accessed September 12, 2025. https://en.radiofarda.com/a/video-showing-khamenei-election-supreme-leader/28963611.html.

[74] “The Overnight Ayatollah: Khamenei's Fight to Become a Spiritual Leader,“ Iranwire, September 16, 2020, accessed September 12, 2025. https://iranwire.com/en/special-features/67605/

[75] Roy, “The Crisis of Religious Legitimacy in Iran,” 207.

[76] “Ebtezal-e Marja’iyyat-e Shi’a (the Trivialization of Shi’i Authority: Impeaching Iran’s Supreme Leader’s Claim to Religious Authority),” Mohsen Kadivar, May 1, 2015. Accessed September 12, 2025. https://hdl.handle.net/10161/11131.

[77] “هاشمی رفسنجانی؛ آیت الله یا حجت الاسلام؟” (“Hashemi Rafsanjani: Ayatollah or Hojjat ol-Eslam?”; “ჰაშემი-რაფსანჯანი: აიათოლა თუ ჰოჯათ ოლ-ესლამი?“) Radio Farda, Radio Free Europe / Radio Liberty, September 12, 2007, accessed September 12, 2025. https://www.radiofarda.com/a/f2_religious_ranking_in_Iran/411598.html

მომხრეებიც და ოფისიც აიათოლას უწოდებდნენ, თუმცა კვლავაც ხამენეის ოფისი მას სიცოცხლეში ჰოჯათ ოლ-ესლამად მოიხსენიებდა.[78]

სასულიერო რანგების პოლიტიკური მიზანშეწონილობით გადაწყვეტა ხომეინის იდეოლოგიის გაგრძელებაა, რომელიც თვლიდა რომ პოლიტიკა და სახელმწიფო ინტერესები რელიგიასა და რელიგიურ პრინციპებს აღემატებოდა.[79] სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მკვლევრებს შორის ისლამური რესპუბლიკის თეოკრატიულობა ხშირად საკამათოდ ითვლება. ირანი წმინდა თეოკრატია არაა, რადგან მისი მმართველი ერთი კონკრეტული რელიგიის უმაღლესი და ერთპიროვნული იერარქი არაა, ამიტომაც ირანის სახელმწიფო სისტემას ზოგჯერ კლერიკალურ მმართველობად მოიხსენიებენ. საინტერესოა, რომ შიიტურ სამღვდელოების მაღალ ეშელონებში არსებული ველაიათ-ე ფაყიჰისადმი წინააღმდეგობა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ისლამური რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და რელიგიის დაშორებას და უნებურ სეკულარიზაციასაც კი იწვევს.[80]

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abbott, Kenrick. “Contemporary Shi’ism as Political Ideology: The Views of Shari’atmadari, Taliqani, and Khumayni.” PhD diss., Institute of Islamic Studies, McGill University, Montreal, Canada, 1990.
2. Abrahamian, Ervand. *Iran between Two Revolutions*. Princeton University Press, 1982.
3. Abrahamian, Ervand. *Radical Islam: The Iranian Mojahedin*. London: Tauris, 1989.
4. Abrahamian, Ervand. *Tortured Confessions: Prisons and Public Recantations in Modern Iran*. Berkeley, CA: Univ. of California Press, 1999.
5. Arjomand, Said Amir. *The Turban for the Crown: The Islamic Revolution in Iran.* New York, Oxford: Oxford University Press, 1988.
6. Bakhash, Shaul. *The Reign of the Ayatollahs: Iran and the Islamic Revolution*. New York: Basic Books, Inc., 1984.
7. Boroujerdi, Mehrzad. *Postrevolutionary Iran a Political Handbook*. Syracuse, NY: Syracuse University Press, 2018.
8. Constitute. “Iran (Islamic Republic of) 1979 (Rev. 1989) Constitution.” Accessed September 12, 2025. https://www.constituteproject.org/constitution/Iran_1989.
9. Gupte, Pranay B. “Rebels in Azerbaijan Bar Governor From Gaining Access to Statehouse; Two Planes From Teheran Barred.” The New York Times, December 9, 1979. Accessed September 12, 2025. https://www.nytimes.com/1979/12/09/archives/rebels-in-azerbaijan-bargovernor-from-gaining-access-to-statehouse.html.

[78] “آیا ابراهیم رئیسی آیت الله است؟” (“Is Ebrahim Raisi an ayatollah?”; “ებრაჰიმ რაისი აიათოლაა?“) Rouydad 24, October 5, 2023, accessed September 12, 2025. https://www.rouydad24.ir/fa/news/350260/

[79] Roy, “The Crisis of Religious Legitimacy in Iran,” 207.

[80] Roy, “The Crisis of Religious Legitimacy in Iran,” 212.

10. Iran Data Portal. “Constitutions and Constitutional Debates.” Accessed September 12, 2025. https://irandataportal.syr.edu/constitutions-and-constitutional-debates.
11. Iranwire. “The Overnight Ayatollah: Khamenei's Fight to Become a Spiritual Leader.“ September 16, 2020. Accessed September 12, 2025. https://iranwire.com/en/special-features/67605/.
12. Kadivar, Mohsen. “Ebtezal-e Marja’iyyat-e Shi’a (the Trivialization of Shi’i Authority: Impeaching Iran’s Supreme Leader’s Claim to Religious Authority),” May 1, 2015. Accessed September 12, 2025. https://hdl.handle.net/10161/11131.
13. Kifner, John. “New Clash Erupts in Tabriz and Hostages Are Seized.” The New York Times, December 29, 1979. Accessed September 12, 2025. https://www.nytimes.com/1979/12/29/archives/new-clash-erupts-in-tabriz-and-hostages-are-seized-iran-denounces.html.
14. Kinzer, Stephen. *All The Shah’s Men: An American Coup and the Roots of Middle East Terror*. John Wiley & Sons, 2003.
15. Nikazmerad, Nicholas M. “A Chronological Survey of the Iranian Revolution.” *Iranian Studies* 13, no. 1/4 (1980): 327–368.
16. Radio Farda. “Shocking Video Clip From 1989 Shows Khamenei Elected Only for One Year as a Caretaker.” *Radio Free Europe / Radio Liberty*, January 8, 2018. Accessed September 12, 2025. https://en.radiofarda.com/a/video-showing-khamenei-election-supreme-leader/28963611.html.
17. Radio Farda. “هاشمی رفسنجانی؛ آیت الله یا حجت الاسلام؟” (“Hashemi Rafsanjani: Ayatollah or Hojjat ol-Eslam?”; “ჰაშემი-რაფსანჯანი: აიათოლა თუ ჰოჯათ ოლ-ესლამი?“) *Radio Free Europe / Radio Liberty*, September 12, 2007. Accessed September 12, 2025. https://www.radiofarda.com/a/f2_religious_ranking_in_Iran/411598.html.
18. Rouydad 24. “آیا ابراهیم رئیسی آیت الله است؟” (“Is Ebrahim Raisi an ayatollah?”; “ებრაჰიმ რაისი აიათოლაა?“) October 5, 2023. Accessed September 12, 2025. https://www.rouydad24.ir/fa/news/350260/.
19. Roy, Olivier. “The Crisis of Religious Legitimacy in Iran.” *Middle East Journal* 53, no. 2 (spring 1999): 201–16.
20. გელოვანი, ნანი და სანიკიძე, გიორგი. *ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.